კონკურსი მომსახურების შესყიდვაზე: საოფისე მასალების შეკვეთა და მიწოდება
FSM-2025-03-03

სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში ეძებს სანდო მიმწოდებელს, რომელიც უზრუნველყოფს REDI პროექტის ფარგლებში საოფისე მასალების ოპერატიულ მიწოდებას მისი საქმიანობისა და პერსონალის მხარდასაჭერად. შერჩეული მიმწოდებელი უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის პროდუქციის დროულ და ეფექტურ მიწოდებას, რომელიც დააკმაყოფილებს ჩვენი ოფისის საქმიანობის საჭიროებებს.

სოფლის გაძლიერება ციფრული ჩართულობის გზით (REDI) არის ევროკავშირის დაფინანსებული პროექტი, რომელსაც ახორციელებს „სოლიდარობის ფონდი პლ საქართველოში“ (SFPL in GEO) 2023 წლის 1 დეკემბერიდან, ესტონელ პარტნიორთან - ელექტრონული მმართველობის აკადემიასთან (eGA) ერთად. REDI მიზნად ისახავს შეამციროს საქართველოს სოფლებსა და ქალაქებს შორის ციფრული განვითარების კუთხით არსებული უთანასწორობა საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გაძლიერებისა და ციფრული წიგნიერების ამაღლების გზით. პროექტის ფარგლებში საჯარო სივრცეებში განთავსდება ინტერნეტთან წვდომის წერტილები და შეიქმნება სოფლის ციფრული ჰაბები საქართველოს 200-მდე სოფელში.

მოთხოვნილი მომსახურება:

- სხვადასხვა საოფისე მასალების მიწოდება, სხვათა შორის შემდეგი:
    - ტუალეტის ქაღალდის რულონი 100მ, ზომა: 9.1x16.5 სმ
    - ანტიბაქტერიული სველი ხელსახოცი, 100 ცალი შეფუთვაში
    - სამზარეულოს ქაღალდის რულონები, 1 შეფუთვა – თითოეული შეიცავს 12 ცალს
    - Duracell AAA ელემენტი, 1.5V, 12 ცალი შეფუთვაში
    - სტეპლერის ტყვია (12x6 მმ), შეკვრის მოცულობა: მაქს. 25 ფურცელი (80გრ), შეფუთვა: 1 შეკვრა – თითოეული შეიცავს 1000 ცალს
    - დაფის მარკერი, წვერის ზომა: მრგვალი 2.0 მმ თანაბარი ხაზებისთვის, წერის სიგრძე 300მ, მელნის ტიპი: წყლის ბაზაზე და დაბალი სუნის მელანი, რომელიც არ ჟონავს ფლიპჩარტის ქაღალდზე, შეფუთვა: 10 ცალი კოლოფში
    - არქივის საქაღალდე A4 75მმ (ტევადობა: დაახლოებით 500 ფურცელი)
    - ქსეროქსის ქაღალდი A4, 80გრ, 500 ფურცელი
    - შავი ჩაის პაკეტები, 100 პაკეტი
    - თეთრი შაქარი, 1000 გრ

- დროული მიწოდების უზრუნველყოფა მითითებულ მისამართზე.
- თითოეული შეკვეთის შესრულების შემდეგ ანგარიშფაქტურის (დღგ-ს გარეშე) და მიწოდების ქვითრის მიწოდება.
- კონკურენტული ფასების და პროდუქციის მაღალი ხარისხის შენარჩუნება.
- მიწოდების მოქნილი ვარიანტების შეთავაზება ოფისის საჭიროებებზე დაყრდნობით.

1. **დავალების შესრულები ადგილი(ებ)ი:**
   თბილისი, საქართველო

2. დავალების ხანგრძლივობა:
მთელი წლის განმავლობაში, ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესაძლებლობით.

3. გასაწევ მომსახურებასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნები:

3.1. ქართულ ბაზარზე საოფისე მასალების მიწოდების მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება;
3.2. ვებსაიტი, სადაც წარმოდგენილია ხელმისაწვდომი პროდუქტების შესახებ სრული ინფორმაცია.
3.3. ვებსაიტის საშუალებით ონლაინ შეკვეთების განთავსების შესაძლებლობა.

შეთავაზებები, რომლებიც არ აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს, ფორმალურ საფუძველზე გამოეთიშება ტენდერს.

4. შეფასების კრიტერიუმი ყველაზე უპირატესი წინადადების შესარჩევად (მაქს. 100 ქულა):

4.1. ერთი და იგივე პროდუქტის სხვადასხვა ხარისხის ერთზე მეტი ალტერნატივის შეთავაზება,

2 ქულა თითოუელი ალტერნატივისთვის (მაქს. 10 ქულა)

4.2. უფასო მიტანის სერვისი (მაქს. 10 ქულა)

- გადახდილი მიწოდება – 0 ქულა

- უფასო მიწოდება იმ შემთხვევაში, თუ შეკვეთის ღირებულება შეადგენს 50 ლარს – 5 ქულა, ყოველ 10 ლარზე ნაკლებზე (ანუ უკეთესი შეთავაზება) – +1 ქულა (ჯამში მაქსიმუმ 9 ქულა), ყოველ 10 ლარზე მეტზე (ანუ უარესი შეთავაზება) – –1 ქულა (მინიმუმ 1 ქულა)

- მიწოდება სრულიად უფასოდ (შეკვეთის მინიმალური ღირებულების გარეშე) – 10 ქულა
4.3. ყველაზე ხელსაყრელი ფასდაკლება დიდი რაოდენობით შესყიდვებზე (მაქს. 10 ქულა)

0%-იანი ფასდაკლება – 0 ქულა, ხოლო ყოველი დამატებითი 1%-იანი ფასდაკლებისთვის ემატება 1 ქულა, მაგრამ არა უმეტეს 10 ქულისა.

4.4. საკონტაქტო პირი თავისუფლად ფლობს ქართულ და/ან ინგლისურ ენებს (მაქს. 10 ქულა)

- საკონტაქტო პირის გარეშე - 0 ქულა
- საკონტაქტო პირი, რომელიც თავისუფლად ფლობს ქართულ ან ინგლისურ ენას - 5 ქულა

- საკონტაქტო პირი, რომელიც თავისუფლად ფლობს ქართულ და ინგლისურ ენერბს - 10 ქულა

4.5. მიწოდების დრო (მაქს. 10 ქულა)

- 48 საათზე მეტი დროის განმავლობაში - 0 ქულა
- 48 საათის განმავლობაში - 5 ქულა
- 24 საათის განმავლობაში - 10 ქულა

5. ფინანსური შეფასება (50 ქულა)

ფინანსური შეფასება განხორციელდება ფინანსური შეფასების მთლიანი ღირებულების (შემოთავაზებული ფასი) საფუძველზე, რომელიც გამოითვლება განაცხადის ფორმაში მოცემული ხარჯების სიმულაციური სცენარის საფუძველზე.

შეფასება კრიტერიუმით „ფასი“ ეფუძნება შემდეგ ფორმულას თითოეული კატეგორიისთვის:

P= Pmin/Pof x 50 ქულა

სადაც:

Pmin - ყველაზე დაბალი შემოთავაზებული ფასი

Pof – ფასი წარმოდგენილია შემოწმებულ შეთავაზებაში

P – ფასის კრიტერიუმით შემოწმებულ შეთავაზებაზე მინიჭებული ქულების რაოდენობა, დამრგვალებული სრულ რიცხვამდე.

6. ანგარიშსწორება დამკვეთსა და კონტრაქტორს შორის განხორციელდება ლარში (GEL) ტენდერის გამარჯვებულ მონაწილესთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

7. დამკვეთის შეუძლია შეარჩიოს ერთი ან რამდენიმე პრეტენდენტი მოთხოვნილი მომსახურების გასაწევად.

8. შეკვეთის შესრულების ფარგლებში, კონტრაქტორს ევალება თვიური გადარიცხვის ინვოისის გამოწერა გადავადებული გადახდის პირობით.

9. მიწოდება განხორციელდება მოთხოვნის შესაბამისად 2025 წლის 31 დეკემბრამდე, შესაძლო გაგრძელებით, მხარეებს შორის გასაფორმებელი შეთანხმების პირობების შესაბამისად.

10. მომწოდებელი იღებს ვალდებულებას, გაყიდოს და მიაწოდოს საკანცელარიო ნივთები და საწმენდი საშუალებები შეკვეთის გამცემი მხარის მოთხოვნაში მითითებული რაოდენობით და იმ ფასად, რომელიც მოცემულია მიმწოდებლის მიერ წარდგენილ შეთავაზებაში.

11. მოთხოვნილი დოკუმენტაცია

11.1. ქართულ და ინგლისურ ენებზე შევსებული, ხელმოწერილი და PDF ფორმატში სკანირებული ფისკალური განაცხადი. ჩამოტვირთეთ აქ.

11.2. ქართულ ან ინგლისურ ენებზე შევსებული, ხელმოწერილი და PDF ფორმატში სკანირებული განაცხადის ფორმა. ჩამოტვირთეთ აქ.

12. წარდგენა

ტენდერში მონაწილეობის განაცხადი მოთხოვნილ სრულ დოკუმენტაციასთან ერთად უნდა გამოიგზავნოს არაუგვიანეს 2025 წლის 25 აპრილი 23:59 საათამდე, თბილისის დროით შემდეგ ელფოსტის მისამართზე: redi@solidarityfund.pl

მომსახურების მოთხოვნასთან დაკავშირებული კითხვები შეგიძლიათ მოგვწეროთ აქ redi@solidarityfund.pl ვადის ამოწურვამდე.

13. დამკვეთი არ მიიღებს სატენდერო ვადის ამოწურვის შემდეგ გაგზავნილ ნებისმიერ დოკუმენტაციას/კითხვას.

14. პროცედურის შედეგის შესახებ ინფორმაცია გაიგზავნება განმცხადებლის მიერ მითითებულ ელფოსტაზე და გამოქვეყნდება სოლიდარობის ფონდი პლ საქართველოში-ის საიტზე - https://participatoryhub.ge/.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ განაცხადის წარდგენით თანხმობას აცხადებთ გაუზიაროთ განაცხადის შინაარსი სხვა განმცხადებლებს, (გარდა პერსონალური მონაცემებისა, რომლებიც ანონიმური იქნება), რომელთაც შეუძლიათ შესაბამისი მოთხოვნის გაგზავნა SFPL -ში.

15. შერჩეულ კონტრაქტორთან გაფორმდება ხელშეკრულება.

16. კონტრაქტორ(ებ)ს, რომლის ტენდერიც მიიჩნევა ყველაზე უპირატესად, დამკვეთი აცნობებს ხელშეკრულების გაფორმების ადგილისა და თარიღის შესახებ.

17. ხელშეკრულების გაფორმებამდე კონტრაქტორი ვალდებულია დამკვეთს მიაწოდოს ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო ყველა ინფორმაცია.

18. თუ ეკონომიკური ოპერატორ(ებ)ი, რომლის სატენდერო წინადადება მიჩნეულ იქნა ყველაზე უპირატესად, თავს აარიდებს ხელშეკრულების დადებას, დამკვეთს შეუძლია ხელახლა განიხილოს და შეაფასოს ტენდერის შედეგები დანარჩენი ეკონომიკური ოპერატორების შემოთავაზებებიდან ან გააუქმოს პროცედურა.

19. ეკონომიკური ოპერატორის წარმომადგენელმა პირებმა ხელშეკრულების გაფორმებისას უნდა წარმოადგინონ ეკონომიკური ოპერატორის წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტები, თუ ასეთი უფლებამოსილება არ დასტურდება ტენდერის თანდართული დოკუმენტებიდან.

20. სოლიდარობის ფონდი PL უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს, სამართლიან და თანასწორუფლებიან მოპყრობას დასაქმების პროცესში რასის, ფერის, რელიგიის, სქესის, ეროვნული წარმომავლობის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობების, პოლიტიკური კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, დაცული გენეტიკური ინფორმაციის ან სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად.

21. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ წარდგენილ განაცხადებში მოცემული პერსონალური მონაცემების ადმინისტრატორია სოლიდარობის ფონდი PL, რომლის სათავო ოფისი მდებარეობს ვარშავაში, ქუჩა Mysłowicka 4, 01-612 ვარშავა. მონაცემები დამუშავდება პოლონეთის პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონის მე-6 მუხლის 1გ პუნქტის საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვების პროცედურასთან დაკავშირებული მიზნებისათვის. თქვენ გაქვთ მოწოდებულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება, პერსონალური მონაცემების გასწორების უფლება და უფლება მოსთხოვოთ ადმინისტრატორს პერსონალური მონაცემების დამუშავების შეზღუდვა, რომელიც ექვემდებარება კანონის 18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს. თქვენ გაქვთ უფლება, საჩივრით მიმართოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფისის პრეზიდენტს. მონაცემთა მაკონტროლებელი არის სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში, ჭავჭავაძის გამზირი 20, ბინა #3, სართული 2, 0179 თბილისი, საქართველო. თქვენი უფლებებით სარგებლობისათვის, გთხოვთ, დაუკავშირდეთ SFPL-ს საქართველოში პირდაპირ მისამართზე georgiarep@solidarityfund.pl – ჩვენ მზად ვართ დავიცვათ თქვენი უფლებები ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში.